ჰაგიოგრაფიული ტექსტების სწავლების პრაქტიკა მე-10 კლასში

ილონა აკობია, მარიამ დვალი, ლია ნარიმანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი(ქართული ენა და ლიტერატურა)

ხელმძღვანელი: ნინო ლომიძე, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანი გახლავთ, ჰაგიოგრაფიული ტექსტების სწავლა-სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე, გავარკვიოთ, ნაციონალური ლიტერატურის სწავლების რომელ პარადიგმას მიმართავენ ქართველი მასწავლებლები, რას მიიჩნევენ ისინი ლიტერატურის საგანმანათლებლო ფუნქციად; განსხვავდება თუ არა საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი; რა სირთულეებს აწყდებიან ისინი აღნიშნული ტექსტების სწავლებისას; როგორია მოსწავლეთა დამოკიდებლება ამ ტექსტებისადმი და რამდენად მიიღწევა ის მიზნები და სავარაუდო შედეგები, რომლებიც გაწერილია ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტში.

ნაშრომში ასახულია ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად მოპოვებული დასკვნები, რომელთა შედარებითი ანალიზი იძლევა საშუალებას, დავადგინოთ, რა მიზნები აქვთ ქართველ მასწავლებლებს ნაციონალური ლიტერატურის ერთ-ერთი კომპონენტის, ჰაგიოგრაფიული ტექსტების, სწავლებისას, განსხვავდება თუ არა საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებელთა დამოკიდებულებები ამ თვალსაზრისით; რამდენად ეფექტურია მოსწავლეებისთვის სამი ერთი და იმავე ჟანრის ნაწარმოების სწავლა. ნაშრომი მოიცავს მოსწავლეების დამოკიდებულებებსა და შეფასებებსაც. ჩატარებული ტესტირების მონაცემთა ანალიზი კი გვიჩვენებს, რამდენად ადეკვატურია მასწავლებელთა წარმოდგენა აღნიშნული ტექსტების შესწავლისას განვითარებული უნარების შესახებ მოსწავლეების მიერ დაფიქსირებულ შედეგებთან შედარებით.

ნაშრომი მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას საკვლევი საკითხის გარშემო, კერძოდ, ვეყრდნობით ევროპაში განხორციელებულ კვლევას, რომელშიც განიხილავ-

დნენ ლიტერატურის სწავლების პარადიგმებს, სხვადასხვა ქვეყანაში ნაციონალური ლიტერატურის სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე. განხილულია მეთოდოლოგია და მოცემულია კვლევის შედეგების დეტალური ანალიზი. ხაზგასმულია კვლევის პროცესში შექმნილი სირთულეები და ის ფაქტორები, რომლებმაც შეგვიშალა ხელი, უფრო მეტად სრულყოფილი ინფორმაცია მიგვეღო.

და ბოლოს, მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც, ჩვენი აზრით, სასარგებლო და საინტერესო აღმოჩნდებოდა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის იმ სამსახურებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საგნობრივი პროგრამების შედგენას.